ცხოვრების მიზნად სიმართლე გვქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# ალიონი

გაზეთი გამოდის 1931 წლის
5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი • №14-15 (10053) 21 აპრილი, 2014 წ. • ფასი 40 თეთრი

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

## ქრისტე აღსდგა!
## ჭეშმარიტად აღსდგა!





### ძვირფასო ოზურგეთელებო,

საქართველომ გოლგოთას გზა უკვე გაიარა.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ყოველგვარი განსაცდელი წარსულის კუთვნილებად იქცა. ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული, ზნეობრივი, თუ ეკონომიკური აღმასვლა ახლა იწყება.

ვისურვებდი, თითოეულ თქვენთაგანს განსაკუთრებული წვლილი გაგეღოთ იმ საერთო ქართულ საქმეში, რომელიც აღთქმულ მიზანს დაგვაახლოვებს.

ჩვენ ერთად ვიზეიმებთ ჩვენი მამულის სიძლიერეს!

ქრისტე აღსდგა!

მრავალი ბედნიერი აღდგომა და ამაღლება გაგთენებოდეთ!

**ზვიად კვაჭანტირაძე.**

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თქვენი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში.



### ჩემო გურულებო!

მოგესალმებით და გილოცავთ მართლმადიდებლობის უდიდეს დღესასწაულს – აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

გისურვებთ სულიერ ამაღლებას, ჯანის სიმრთელეს, ქვეყნის გამთლიანებას და ოჯახის გაძლიერებას მამულიშვილურ საქმეში.

აღდგომის მრავალ დღესასწაულს დასწრებოდეთ.

**მერაბ ჭანუყვაძე,**

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე.



### გილოცავთ!

ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ყველა ოზურგეთელს ვულოცავ უფლისა ჩვენისა ბრწყინვალე აღდგომას. ღვთის მადლი, სიმტკიცე, ერთიანობა იყოს ზღუდე ჩვენი ცხოვრებისა.

გისურვებთ სულიერ ამაღლებას და ქვეყნის გამთლიანებას.

**ავთანდილ სურგულაძე,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.



### ჩემო ოზურგეთლებო!

ოზურგეთელებსა და სრულიად საქართველოს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. აღდგომის მადლი შეეწიოს თითოეული ქართველის ოჯახს.

ღვთის რწმენითა და სიყვარულით გვეცხოვროს, მრავალი აღდგომა გვეზეიმოს ერთიან და მშვიდობიან საქართველოში!

ქრისტე აღსდგა!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი,

**კონსტანტინე შარაშენიძე**


### მაღაზია „ნეპტუნი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!




ინდ. მეწარმე „ავთანდილ ჭანუყვაძე“ მუდამ თქვენ სამსახურში!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ.№15.

### საბანკეტო დარბაზი „ელეგანტი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!




თქვენს განკარგულებაშია 500-კაციანი საბანკეტო დარბაზი, მეორე დარბაზთან ერთად. საუკეთესო მომსახურება, კომფორტი თქვენს განწყობას აამაღლებს.

(599) 91 03 50; 27 41 64.

მის: ქ. ოზურგეთი, გ.ეპისკოპოსის ქ. №2

# ძვირფასო ოზურგეთელებო! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



გულითადად გილოცავთ უფლისა ჩვენისა ბრწყინვალე აღდგომას.

სიყვარულით გისურვებთ მშვიდობასა და ერთიან საქართველოში.

**ლევან ნინიძე,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე.



გილოცავთ აღდგომას უფლისა იესო ქრისტესი!

გისურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, უფლის წყალობას!

**თემურ მოქია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობის" თავმჯდომარე



ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ყველა ოზურგეთელს ვულოცავთ აღდგომას უფლისა იესო ქრისტესი!

**კობა ხაბალაშვილი**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



**ი/მ „ავთანდილ გორდელაძე"**

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! მხოლოდ ჩვენთან, ავტოსაღებავების დიაგნოსტიკური შემზადება.

**მისამართი: ქ. ოზურგეთი, დავით აღმაშენებლის ქ. №4. (გმირთა მოედანთან)**



აფთიაქი „სალბი" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ ღვთის წყალობას. უფლის მადლი შეგეწიოთ.

ჩვენთან იაფი ფასები და ხარისხიანი მომსახურება.

მის: აკ. წერეთლის ქ.№13

## „დარგე ხე - გაამწვანე შენი ქალაქი"

ხუთშაბათს, 17 აპრილს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ორგანიზებით, „დედამიწის დღესთან" დაკავშირებით, გაიმართა აქცია „დარგე ხე, გაამწვანე შენი ქალაქი".



რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ დაირგო მწვანე ნარგავები.

დედამიწის დღე 1970 წლიდან მსოფლიოს 190 ქვეყანაში აღინიშნება და მიზნად ისახავს გარემოს გაუმჯობესებას და დედამიწის მწვანე საფარის შენარჩუნებას. საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მწვავედ დგას გარემოს დაცვის საკითხი. ჰაერის დაბინძურება, ქარსაფარი ზოლების ნაკლებობა და ტყეების მასიური ჩეხვა ძირეულ კლიმატურ ცვლილებებს და ბუნებრივ კატაკლიზმებს იწვევს.

.

აქცია „დარგე ხე - გაამწვანე შენი ქალაქი" გაიმართება სსიპ გურიის რეგიონალური სატყეო სამმართველოს და ოზურგეთის „სერვისცენტრი"ს ხელშეწყობით, მსგავსი აქციები ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებას გარემოსდაცვით პრობლემებზე და შესაბამისად მოითხოვს საზოგადოების მობილიზებას და ჩართულობას ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს შენარჩუნების საკითხების მოგვარებაში.

„სოკარ ჯორჯია-გაზი გურია" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

SOCAR
GEORGIA GAS




„ენერგო პრო ჯორჯიას"
ოზურგეთის სერვისცენტრი
გილოცავთ აღდგომის
ბრწყინვალე დღესასწაულს!

# ქვირფასო ოზურგეთელებო! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



აღდგომა იმ საზომით მოდის, რა დონითაც ავმაღლდებით ჩვენ სულიერად, მოვაკვდინებთ ჩვენში მატერიალურ აზროვნებას და განვთავისუფლდებით ინსტიქტების მიჯაჭვულობისაგან.

ყველას გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას!

**ავთანდილ თავართქილაძე,**
ოზურგეთის სამხატვრო გამოყენებითი ცენტრის –სურათების გალერეის დირექტორი



უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით მოგილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ნათელი მომავალი ყოფილიყოს გვირგვინი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. წყალობა უფლისა არ მოგკლებოდეთ.

**გოგა ტრაპაიძე**
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორი



სააქციო საზოგადოება «საქართველოს რკინიგზა» ოზურგეთის მგზავრთა სერვისცენტრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

გისურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, უფლის წყალობას

**დავით ქურიძე**
ოზურგეთის მგზავრთა სერვისცენტრის უფროსი



**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო, მოზარდ მაყურებელთა თეატრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**




**ი/მ „კახა კანდელაკი" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №4

# „პატივისცემა ნიშნავს გაფრთხილებას“

ნინო ნიკოლაიშვილი



1978 წლის 14 აპრილს, როცა საქართველოს ისტორიის ბედისა თუ უბედობის თანამდევ, მრავალ ქარტეხილგამოვლილ, ერის ძლიერებისა და თვითმყობადობის ბალავარს - ქართულ ენას კვლავ დაუდგა გამოცდის ჟამი — ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმებისა, ერმა თავისი მტკიცე ნება კვლავ გამოხატა და დაიცვა იგი. მას შემდეგ 14 აპრილი ქართული ენის დღედ გამოცხადდა, კიდევ ერთხელ გაცნობიერდა ერის ცხოვრებაში, წუთისოფლისთვის თვალის მოხუჭვა არა მხოლოდ ადმიანს, ერსაც არ ეგების და არც გასათელი ნაბადივითა გვაქვს საქმე. თუმცა დრო და დრო თვლემამ მაინც თავისი დაღი დაასვა ქვეყნის ცხოვრებას და ენამაც თავისი წილი ტკივილი იწვნია. იყო დრო, როცა „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, და იყო დრო, როცა „ირწეოდა ლერწამნი, ვითარცა ქართაგან ძლიერთა“ და ამ რწევაში ენაც, მამულიც და რწმენაც ბევრს კარგავდა.

საზოგადოება „სანთელის“ მიერ ორგანიზებული, ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის მონაწილეობით გაიმართა. ღონისძიებას უძღვებოდა პედაგოგი ლალი ბასილაშვილი, , ბიბლიოთეკის თანამშრომელი თამარ ბილოხოძე, იურისტი ომარ ბაკურაძე, რომელმაც ასევე წაიკითხა საკუთარი ლექსი, ქართული ენისადმი მიძღვნილი.

ენის ისტორია, მისი ღვთიური წარსული და მყოობადი, ანუ განვლილი და გასავლელი საფრთხეები, მისი დიდებულება, ენას დაცვა სჭირდება, დაუბრუნდეს ენას თავისი ფუნქცია, რათა სწორედ მშობლიური ენა გახდეს აზროვნებისა და ცნობიერების სათავე, აი თემები, რომელზედაც საუბრობდა ამ დღეს ოზურგეთელი საზოგადოება.

შოთა გოგიბერიძემ, ანზორ დოლიძემ, მზია ვაშალომიძემ, თამარ ყურაშვილმა, მარინე ჩხიკვაძემ, ვახტანგ მამეიშვილმა, ეთერ ქადეიშვილმა, ნუგზარ ასათიანმა, გივი გორგოშიძემ იმ ფაქტებისა და კვლევების შესახებ ისაუბრეს, რაც ქართულ ენასა და მისი დაცვის აუცილებლობას უკავშირდება. როგორ იცვლებოდა პერიოდულად „უპირატესი“ უცხო ენის აღმასვლა მშობლიურის ხარჯზე, ანუ რომელი ენა იყო მოდაში. გაიხსენეს ბოლო ოცდაათწლეულში განვითარებული მოვლენები, ის, რაც მათ თვალწინ მოხდა და რისი აქტიური მონაწილეებიც თავად იყვნენ. აღნიშნეს რამდენიმე წლის წინ გაუქმებული ქართული ენის სახელმწიფო პალატის მუშაობის აღდგენის საჭიროება.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის, ლიხაურის საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. ნოდარ დონაძის ლექსი იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი, მისმა შვილიშვილმა პატარა ნოდარ დონაძემ წაიკითხა.

შეხვედრის ბოლოს მამა მათემ (გორდელაძე) დალოცა ღონისძიების მომწყობნიც და მსმენელებიც, სრულიად საქართველო. გაიხსენა ბიბლიური თქმულება ბაბილონის გოდოლის შესახებ. აღნიშნა, რომ კარგია ენის მეცნიერული კვლევა, კანონისმიერი დაცვა, მაგრამ თუ ზნეობას დავკარგავთ, თუ ერთმანეთს ვაგინებთ, სულიერებას გავექცევით, როგორ გადავრჩებით. „ენა სულის მეტყველებაა, იმიტომ არის ენა სადიდებელი, რომ ამ ენით უფალს ვადიდებდით. როცა ზნეობა დაიკარგა, ენაც წაიბილწა. ათასი რამ არსებობს, რაც რყვნის ენას, ერს. პატივისცემა ნიშნავს გაფრთხილებას“.




ა (ა) იპ ოზურგეთის **„სერვისცენტრი“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

# ქვირფასო ოზურგეთელებო! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



უფლის ლოცვით, გამარჯვების, წინსვლის გზით გვევლოს. ღვთის წყალობა და მადლი არ მოგვკლებოდეს!

**მერაბ მჟავია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე



გისურვებთ ღვთის წყალობას. უფლის მადლი შეგეწიოთ!

**გია ჩაგანავა**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი




მაღაზია „დაზოგე ჯიბე“ გთავაზობთ საჩუქრების, ოქროს და ვერცხლის ნივთების ფართო არჩევანს. ბიჟუტერიას, ქალისა და მამაკაცის საათებს.
მის. გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №1
(საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორია)

# ჯუმბერ ლეჟავა ახალი მოგზაურობისთვის ემზადება



XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისის მსოფლიო ველომოგზაური, გინესის მრავალი რეკორდის ავტორი **ჯუმბერ ლეჟავა** ახალი მოგზაურობისათვის ემზადება. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს მასთან:

**—ბატონო ჯუმბერ რა გახლავთ თქვენი ახალი მოგზაურობის მიზანი?**

—მიზანი მრავალმხრივია, იმიტომ რომ, ვაპირებ, როგორც პოლარული წრის შიგნით სიარულს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფოს ახალი გზების გავლით ჩავიდე ჩრდილოეთიდან სამხრეთში, რიო-დე-ჟანიეროს ზაფხულის ოლიმპიადაზე, 2016 წელს. ესე იგი, უნდა ვიმოგზაურო 2 წლის განმავლობაში.

**—საქართველოდან რომელ მხარეს გადაკვეთთ საზღვარს: ჩრთილოეთიდან თუ სამხრეთიდან, როგორც ეს 1993 წლის 13 აგვისტოს დაიწყეთ. როგორი იქნება შემდეგი მარშრუტი?**

—მოგზაურობის პირველი ეტაპი ჩრდილოეთისკენ იგეგმება. იგი 14 აგვისტოს უნდა დაიწყოს. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს როგორც ფიზიკური მომზადება, ისე მარშრუტის კორექტირება იმის მიხედვით, თუ რომელი გზით გადაწყდება ჩრდილოეთისკენ წასვლა.

ჩემი პროექტი ითვალისწინებს აფხაზეთის გავლით გადავიდე რუსეთის ტერიტორიაზე და იქედან ჩავიდე ფინეთის უკიდურეს ჩრდილოეთში. ე.ი. სოხუმის, მოსკოვის, სანკ-პეტერბურგის, მურმანსკის გავლით ჩავიდე ფინეთის ქალაქ კიკნესში. შემდეგ შვეციის უკიდურესი ჩრდილოეთის გავლით, ჩავიდე ნორვეგიის ასევე უკიდურეს ჩრდილოეთის დასახლება ნორდკაპში. ეს არის ჩრდილოეთის განედის 73-74 გრადუსი. აქ ტემპერატურა მინუს 45 გრადუსამდე ეცემა.

ამის შემდეგ მოგზაურობას გავაგრძელებ სამხრეთ-დასავლეთით ქალაქ ბერგემამდე. აქედან კი გზას ფარერის კუნძულებისკენ გავაგრძელებ. ფარერების შემდეგ ისლანდიაში გადავალ, ხოლო იქედან გრენლანდიაში. იქედან დაბრუნებული ირლანდიაში შევალ, შემდეგ —ინგლისში.

ჩემი გზა ინგლისიდან ლა-მანშის სრუტის გავლით საფრანგეთში გაგრძელდება. საფრანგეთის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გავივლი და ესპანეთში შევალ. იქედან პორტუგალია, კანარის კუნძულები და პორტ უგალის გავლით შევდივარ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიაგარის ჩანჩქერის გარშემოვლით გზას ხუთი ცნობილი ტბის გასწვრივ გავაგრძელებ კანადის დასავლეთისკენ და იქედან გზას ჩრდილოეთისკენ, ალიასკის ქალაქ ანკორაში ჩავალ.

ანკორიდან წავალ სამხრეთით ჩრდილო ამერიკის დასავლეთი სანაპიროთი და შევალ მექსიკაში, შემდეგ ცენტრალური ამერიკის ყველა ქვეყნის გავლით, პანამიდან გადავალ კოლუმბიაში ან ვენესუელაში. შემდეგ ვენესუელადან სამხრეთ-აღმოსავლეთით გავაგრძელებ გზას და ჩავალ ქალაქ ბელემში. ბელემიდან მომიწევს ჯუნგლების გადაკვეთა ქალაქ ბრაზილიამდე. ბრაზილიიდან კი რიო-დე-ჟანიეროში ჩავალ და დავესწრები 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებს.

ეს იქნება ჩემთვის მე-6 ზაფხულის ოლიმპიადა, რომელთაგან 5-ში ჩავდივარ ველოსიპედით და ვბრუნდები ველოსიპედით, ხოლო ერთში კი ვიყავი ავტომანქანით.

ეს არის მოკლე ინფორმაცია ჩემი მოგზაურობის მარშრუტის შესახებ.

**—ბატონო ჯუმბერ, როგორც ბრძანეთ, თქვენი მიზანია რიო-დე-ჟანიეროს ოლიმპიადაზე დასწრება. გვაინტერესებს, რაიმე განსაკუთრებული ხომ არ ხდება ამ მოგზაურობის დროს, ან იმ გზებსაც ხომ არ გაივლით, იმ დიდი 10-წლიანი მსოფლიო მოგზაურობის დროს რომ გაიარეთ?**

—მინდა იცოდეთ, რომ ველოსიპედით ასეთი გზებით, ისევე როგორ ჩემი 10-წლიანი მსოფლიო ველომოგზაურობა, არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთით ზამთრის პირობებში და არც ზაფხულის პირობებში პოლარული წრის შიგნით 7 გრადუსით არავინ ყოფილა. გარდა ამისა, ამაზონის ჯუნგლები შუაზე პირველმა მე გადავკვეთე ველოსიპედით 1998 წელს სამხრეთიდან ჩრდილოეთით ქ. ბრაზილიიდან ქ. ბელემამდე, ახლა იგივე მარშრუტს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გავივლი. ეს იქნება ველოსიპედისტის მიერ ამაზონის ჯუნგლების გავლისა და როგორც პირველ შემთხვევაში ვიყავი, ისე მეორე შემთხვევაშიც ვიქნები მე.

**—ბატონო ჯუმბერ, რა მანძილის გავლა მოგიწევთ ამ მოგზაურობისას?**

—სამი ათეული სახელმწიფოს გავლით დავფარავ 50 ათას კილომეტრამდე მანძილს. ეს იქნება კიდევ ერთი უდიდესი და ურთულესი მოგზაურობა, რომელიც შეავსებს და დაამშვენებს საქართველოს სამოგზაურო ისტორიას. ამით კიდევ ერთხელ მოწმდება ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გამოცდა ექსტრემალურ პირობებში.

**—თქვენ მრავალი რეკორდი დაამყარეთ, რომლებიც გინესის წიგნშია შეტანილი. ვინმეს თქვენი რომელიმე რეკორდი ხომ არ მოუხსნია?**

—არც ერთი რეკორდი არ მოუხსნიათ. მე მოხარული ვარ, გინესის არაერთი რეკორდი დაამყარა ჩემმა მეგობარმა გურიიდან —გოდერძი მახარაძემ. მას მომავალ წარმატებებს ვუსურვებ.

**—რას უსურვებდით და რას სთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს?**

—„ალიონის“მკითხველებს სიკეთეს ვუსურვებ. მახსოვს როგორი შეხვედრა მომიწყვეთ 2004 წელს, როცა საქართველოს რეგიონებში ველოსიპედით ვმოგზაურობდი.

რაც შეეხება თხოვნას, ძალიან მოხარული ვიქნები, თუკი ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, ბიზნესმენები თავიანთ წვლილს შეიტანენ მოგზაურობის დაფინანსებაში. თუკი ჩემს მიერ გამოცემული ჟურნალების და რუკების რეალიზაცია მოხდება, ეს შეავსებს სამოგზაური ბიუჯეტს. მე შემეძლება მოგზაურობისას რეკლამა გავწიო.

წარმატებებს ვუსურვებ გურულებს!

ესაუბრა **სოსო გირკელიძე,**
გინესის რეკორდის კანდიდატი.





**სააქციო საზოგადოება „იმედი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

# „...სულის დიდი ნაწილი – ფოლადაურის ხეობა და ამ ხეობაში სახუნდარის მონასტერი“

თემურ ბაქანიძე



12 დეკემბერი - 2013 წელი, ბოლნისის რ-ნი. მეუფე ეფრემის რეზიდენციაში სამი დღე დავყავი და მისივე კურთხევით, ფოლადაურის ხეობაში, სახუნდარის მონასტერში გავემგზავრე, ამავე მონასტრის წინამძღვრის მამა იოანესა და ბერი ბასილის თანხლებით.

სახუნდარის ბერ-მონაზონთა მამათა მონასტერი ღვთისმშობლის ხარების სახელს ატარებს.

ყოველ ხარება დღეს ტაძარში განსაკუთრებული წირვა-ლოცვა ტარდება და ეს დღე ტაძრის დღესასწაულის დღედ არის გაცხადებული.

ხშირი, გაუვალი ტყითა და მუსლიმანთა სოფლებით გარშემორტყმული ქრისტიანული ტაძარი, რომელიც XVII ს-ნის დასაწყისში აიგო შანშიაშვილების მიერ, ნაოჭიანი შუბლითა და სახით გადმოჰყურებს საშუალო სიმაღლის გორიდან საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც მის თვალსაწიერში მოხვედრილა. IV საუკუნეზე მეტია ეს ისტორიულად კოჟრიანი ტაძარი და სამრეკლო ბნელში სანთლების კიაფითა და დღისით ზარების სულში ჩამწვდომი წკრიალ-ჟღარუნით აუწყებდა მტერსა და მოყვარეს, რომ საქართველოს ამ ნაწილში ქრისტიანობას აღდგენა არ დასჭირვებია იმიტომ, რომ იქ, ჩემთვის უკვე ღვიძლსა და უსაყვარლეს ტაძარში ქრისტიანობა არც დაცემულა.

„მზის ამოსვლითგან, ვიდრე დასავალამდე ქებულ არს სახელი უფლისაი და ნეტარ არს კაცი, რომელსაც ეშინის უფლისა, ცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად: ძლიერ იყოს ქვეყანასა ზედა ნათესავი მისი და თესლი წრფელთაი უკურთხოს საუკუნეების მანძილზე მარტოდ დარჩენილი გუმბათები, სამრეკლოები...“

იდგნენ რწმენით გაჟღენთილი კედლებით, მოხატულნი ხატებით ელოდნენ – გველოდნენ; იცოდნენ გამოჩნდებოდნენ – გამოვჩნდებოდით – გავალამაზებდით, მოვეფერებოდით, მოვილოცებდით და მათ დრო-ჟამისაგან გაცრეცილ კედლებში კვლავ სული – ქრისტიანული სული დაბრუნდებოდა. გაცოცხლდებოდა არა თვითონ, არამედ ხალხი, მისი დამკარგავი.

ასე მოხდა ჩემი უსაყვარლესი ტაძრის ისტორიაშიც, რომლის რესტავრაცია-აღდგენა მისმა პირველმა წინამძღვარმა, მამა გიორგიმ დაიწყო 2008 წელს, რომელიც ამჟამად მარნეულის ეპარქიის მეუფეა. მამა გიორგის მეუფედ კურთხევის შემდეგ, სახუნდრის მონასტრის რიგით მეორე წინამძღვარი მამა იოანეა.

ბოდიშს ვიხდი მამა იოანესთან, რომელსაც დავპირდი, რომ არაფერს ვიტყოდი იმ კეთილ და ქრისტიანულ საქმეებზე, რომლითაც ჩვენი მონასტერი ხშირ შემთხვევაში არის დაკავებული. მაგრამ წავიკითხე რა პატრიარქის 2010 წლის სააღდგომო ეპისტოლე, თავს უფლებას მივცემ, სიტყვაძუნწად მაინც, ცოტაოდენი რამ ვთქვა მამა იოანესა და მამა ბასილზე.

რა ეწერა ეპისტოლეში? იქ ჩვენმა პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა ჩვენი ერის უძლიერეს სენზე - ნარკომანიაზე და აღნიშნა, რომ ეკლესიებისა და განსაკუთრებით, მონასტრების დახმარებით, ბევრი ნარკომანი გამოსწორდა სულიერებაში და დაუბრუნდა ნორმალურ ცხოვრებას.

დიახ, ჩვენთან მონასტერშიც მოდიოდნენ ნარკომანიით, ლოთობით და აზარტით შეპყრობილი ადამიანები. თვალზე ცრემლით ვიხსენებ იმ დროს, როცა ჩვენ ერთ მუშტად, ერთ ოჯახად დავდიოდით ტაძარში და ვლოცულობდით, ვჩეხავდით კელიებისთვის შეშას, ვამზადებდით საკვებს, ვპატრონობდით ქათმებსა და საქონელს (25 ქათამი და ორი ძროხა გვყავდა). ვზიდავდით წყალს, ვასუფთავებდით თხილისა და შინდის ბაღებს, ვათეთრებდით კაკლის ხეებს.

ღამით კი, სანამ დავიძინებდით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, სხვადასხვა ცხოვრებიდან მოსული ქართველი ბიჭები გამოთქმით: „კეთილი ანგელოზები“ ლამაზ ძილს ვუსურვებდით ერთმანეთს და ვიძინებდით. ღმერთო ჩემო – ისეთი მშვიდი ძილი არასოდეს და არსად განმიცდია.

მინდა აღვნიშნო, რომ მონასტრის ექიმის ტიტულს 3 თვეზე მეტ ხანს უცვლელად, ნიჭითა და ყველათა სიყვარულით ვატარებდი.

არ ვიცი, როდის დაგიბრუნდები ჩემო უსაყვარლესო მონასტერო, ან გიხილავ კი საერთოდ ცხოვრებაში? მაგრამ მინდა მადლობა ვუთხრა მეუფე ეფრემს, მამა ბასილს და განსაკუთრებით ჩემს წინამძღვარს – მამა იოანეს (რეხვიაშვილი), მინდა მადლობა შევწირო უფალს, რომელმაც ჩამთვალა ღირსად, რომ ჩემი სახლიდან, რაიონიდან, ჩემი ქალაქიდან, ჩემი ზღვისპირიდან შორს, საქართველოს მეორე ბოლოში მენახა მეორე სახლი, მეორე რაიონი, შემეძინა სვანებისა და რაჭველების საძმო, საძმო თბილისიდან, რომლებმაც შევფიცეთ ერთმანეთს ძმობა.

მადლობა უფალს, რომელმაც მაჩუქა სულის დიდი ნაწილი – ფოლადაურის ხეობა და ამ ხეობაში სახუნდარის მონასტერი.

**პ.ს** „ნუ გააღმერთებთ ნურავის – ღმერთი ერთია და იგი ღმერთია“. უფალი გფარავდეს ჩემო ოზურგეთო და ოზურგეთლებო.




ლუდის ბარი „ნატახტარი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და გთავაზობთ განახლებულ მენიუს საუკეთესო მომსახურებით!
მის: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №12



საპროექტო ფირმა „ამბაზი 3“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



საავტომობილო და სატრაქტორო მარაგ-ნაწილების მაღაზია გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!
მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №3.


# იმუნიზაციის კვირეული

22-27 აპრილს საქართველოში, ისევე როგორც ევროპის რეგიონის 53 ქვეყანაში, ჩატარდება იმუნიზაციის კვირეული. აღნიშნული ღონისძიება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს მიერ არის ორგანიზებული და ის ყოველწლიურად ტარდება. მისი მიზანია, როგორც მოსახლეობისათვის, ასევე მედიისა და ჯანდაცვის სისტემის სპეციალისტებისათვის, სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის იმუნიზაციის აქტუალობის შეხსენება და ინფორმაციის მიწოდება.

ევროპის იმუნიზაციის კვირეული ფოკუსირებულია დაავადებებზე, რომელთა თავიდან აცილება ვაქცინაციით არის შესაძლებელი (ე.წ. ვაქცინაციით მართვადი ინფექციები). იმუნიზაცია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა და ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევებისაგან.

საქართველო, როგორც ჯანმოს ევროპის რეგიონის წევრი ქვეყანა, იმუნიზაციის კვირეულში მონაწილეობას იღებს 2007 წლიდან.

ევროპის იმუნიზაციის კვირეულის მიზანია გურიის რეგიონში ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის გზით სპე.

კვირეულის ძირითადი გზავნილები:

1. უმნიშვნელოვანესია პირველადი დონის ჯანდაცვის სპეციალისტების როლი იმუნიზაციის პროგრამაში და მათ უდიდესი გავლენა აქვთ პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე;

პირველადი დონის ჯანდაცვის სპეციალისტებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ყველა მშობელს, როგორც მათი შვილების ვაქცინაციის სტატუსის, ასევე ზოგადად აცრების აუცილებლობის შესახებ და უნდა განუმარტონ, თუ რა საფრთხეს უქმნის არავაქცინირებულ ბავშვს დაავადება, რომლის თავიდან აცილებაც იმუნიზაციის გზითაა შესაძლებელი.

2. ევროპის რეგიონში წითელას მიმდინარე ეპიდაფეთქებების თავიდან აცილება და წითელას მომავალი შემთხვევების პრევენცია - როგორც ძირითადი პრიორიტეტი;

2015 წლისათვის ევროპის რეგიონში უნდა განხორციელდეს წითელასა და წითურას შემთხვევების სრული აღმოფხვრა (ელიმინაცია)

მხარის სამედიცინო დაწესებულებები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი ვაქცინებით, ვთხოვთ მშობლებს კვირეულის ფარგლებში მიიყვანონ ბავშვები ამცრელ დაწესებულებებში, სადაც აცრასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა უფასოდ ჩაუტარდებათ.

**არჩილ მჟავია**

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილების უფროსი

ალიონი № 14-15

21 აპრილი, 2014წ.

# დავით შემოქმედელი – 61



სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს კულტურის დესპანს, პოეტ დავით შემოქმედელს (ტაკიძეს) დაბადებიდან 61 წელი შეუსრულდა. იგი არაერთი წიგნის ავტორია და მინიჭებული აქვს დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის და იავნე მაჩაბლის პრემიები.

გთავაზობთ ლექსებს დავით შემოქმედელის შემოქმედებიდან:

## პოეტი

ბწკარები ცრემლის მძივებად თოვდა,
რითმების მღვრიე ღარში დამფლავი,
ლექსი ზოგისთვის ძეგლი იყო და
ზოგისთვის — საძმო მცირე საფლავი.

შენ კი რა სნება აგიტყდა შარზე,
სიტყვებით ჯვარცმას რომ ვერ ეხსნები,
დიდბატონების ცრუ კარნავალზე
დადიხარ შენი დარდი-ლექსებით.

სტრიქონის შუბი გეპყრა საომრად,
ფარას რომ ფარად ეფარვის მწყემსი,
წყევლა იყო თუ უფლის დალოცვა,
სულში რომ ჩადნა პირველი ლექსი.

ჩამოისამხრეს ნისლებმა ახლო,
როცა ცას პირველ სტრიქონს ჰპარავდი
და ლეგაქულა ლექსსამოსახლო
მეტაფორების გედგა კარავი.

ბავშვმაც იცოდი, სისხლს რა ნდომია,
პარნასის კართან ფრთით ასატანი,
რომ პოეზიაც თურმე ომია,
დიდგორის დარად გადასატანი!...

***

დედის საფლავზე
ამოსულო ყვავილო,
ნიავზე რომ ირხევი,
დედის სუნთქვა მგონიხარ...

## დისალმი

(მალვინას)

ეზოს აკლია ჩვენი ბავშვობა,
განგების ნებით გადაკარგული...
ფიშტოდაცლილი ქორწილ-მაყრობა
და კრიმანჭული სხვენზე გაკრული .

ეხვევა თხმელებს დოლბანდი ბინდი,
კანდელ-წანდილით ჩათავდა მარხვა,
და ჭლექიანი ნესტი ამინდი
სახსარში დაგხრავს, ვით ბოსტნის მახრა.

სამოსად შაშვის შავმარმაშები
კედლის კალენდრის დუმილ-დარდები,
შემოსეული ყიზილბაშები,
ღობეს ახრჩობენ ეკალ-ბარდები.

საფლავი ბალახამოშლილობა,
გათვალულია ბედი ართვალით
საკურთხ-ნაკურთხი დედაშვილობა
და დაკემსილი ღამე სათვალით.

სამი ნაბზარი, სამი ჭრილობა,
ეს გულიც სამი ცივსაფლავია,
ამ ვარამცრემლთა შემოჭრილობას,
ამ სულთაგლეჯას, დაო, რა ჰქვია?!

სწუხან თელები დათალხულ ჩალმით,
ანწლებთან მწარედ ხარ მოწყენილი,
და წამიწერე თეთრ ნისლებს წალმით
მოსაკითხავი ჩემთვის წერილი.

ქარები შარა-სალახანები,
ბჟუჟის ჭალა რომ ჭილით მოფინეს,
ყელამდე იყო იმ წელს ყანები,
მთელი ზამთარი რომ ვიმყოფინეთ.

ბაღში შავფერა შინდის სურნელი
შვენობს, უშურო შენი მადლია,
რატომ იცინის ნუში სულელი,
რამ წამოჩიტა ასე ადრიან.

დავბრუნდი, დაო, მე — ბუმერანგი,
ამ ლექსს არ ვაცლი ჭრაქზე გაშრობას,
რომ ხსოვნის ნისლად თეთრი პერანგი
შემოვაშრალო შიშველ ბავშვობას...

***

დღეები, როგორც მახრჩობელები,
როგორც გველები, სისინით დიან,
გამარჯვებული მიმზერს იუდა,
მე წაგებული ქართველი მქვია.

გულში სევდაა ბოლმად გაჩრილი,
ყველა ჭრილობა შემომრჩა ღია,
წარსულს შლიან და აწყმოს დაღავენ,
მე უსამშობლო ქართველი მქვია.

ქვეყანა შერჩათ საძიძგნად ძერებს,
ძმები ძმების სისხლს სიცილით ღვრიან,
ცხუმიც მომჭრეს და ხელიც მომკვეთეს,
მე გაყიდული ქართველი მქვია.

ჩაღამებული თბილისის ქუჩებს
ვუმზერ, ჩემ თვალწინ აწივლდა ტყვია,
ჩემს ცას ხვრეტენ და ჩემს მზეს მპარავენ,
მე განწირული ქართველი მქვია.

ცოდვის კალოა ახლა ქვეყანა,
ბოღმის და შურის, ტანჯვის და ელდის
და მენანება ისე სამშობლო,
თითქოსდა საფლავს დავყურებ დედის...

## გურია

/ერთი ღამის პურობა/

მთებს ქვემოთ თოვლა ნისლის ფაფარი,
იწვა ვით მშვიდი ზღვა მოთენთილი,
შორს შემოქმედის თეთრი ტაძარი,
და მთები მთებზე შემოხეთქილი.
სამშობლო მხოლოდ ცრემლი არ არის,
აღიდგორებულ სპაზე დიდია,
მოითარეშებს ნისლთა ლაშქარი
მთებს და სამზეოს გზებით მიდიან.
აქ, ღვთის სადგომში რა დაგვაძინებს,
დადექ და ვარსკვლავთ კოცონი თვალე,
საცაა ალბათ ბეჭზე გავიდებთ,
გურიის მთებზე დაგდებულ მთვარეს.
ქარი კეცავდა სველ წიფლებს მაღლებს,
სუფრასთან ვჭექდით ოცი ფირალი,
და სულგაყიდულ ოხრანკის ძაღლებს,
ბედს აწყევლიდა ნასაკირალი.
გავტეხეთ პური, ორადნახადი
არაყი ფეთქდა ვით თოფი ფილთა,
თითქოს ახადა ლექსმა ყავარი
სატევარივით ვიშიშვლეთ სიტყვა.
მასპინძელივით ხარობდა ჭერი,
ერთსაც არ ერქვა ჩვენში სტუმარი,
გურული ნენას თავშალისფერი
ღამე კარებთან იწვა მდუმარი.
უნდა გახედო მთვარეს მორკალულს,
ზეცა წმინდაა ვით ანგელოსი,
გურია უფლის ჯილდო ცის ახლო,
ამ ჩვენს ღვთის ნალოც საქართველოსი!...

***

რაღა უნდა მიყო, მტერო,
მაშინც ვტირი, როცა ვმღერი,
აქეთ — მოყვრის ისარი მგლეჯს,
იქით — რუსის ხიშტის წვერი.

გულში ბოღმა ჩამისახლდა,
ჟამი ესე მექცა ფარსად,
მე რომ გოგო შევიყვარე,
თათრის ფაშის დგება ხასად.

მე რომ ბიჭი ძმად ვიგულე,
მტრის ტაბლასთან მოყვრად მჯდარი,
აქეთ მკლავს და აქეთ მპარავს,
ვაი, ჩვენი ცოდვის ბრალი.

და მახელებს გრძნეული ხმა,
ტაძრის ყოველ ლოდზე ბზარი,
გორს და ზუგდიდს იქით უკვე
საქართველო აღარ არი.

და სარჩოსთვის ქუჩაში მდგარს,
სახეში სცემს ქარი, მტვერი
და ნათლობის ჯვრებით ვაჭრობს
ჩემი გაძარცვული ერი.

რაღა უნდა მიყო, მტერო,
მაშინც ვტირი, როცა ვმღერი,
აქეთ — მოყვრის ისარი მგლეჯს,
იქით — რუსის ხიშტის წვერი.

## ჩვენი იუდას მონოლოგი

/ნიკო ლორთქიფანიძეს/

ვყიდი, რაც რამ მაბადია,
თუკი ოდეს რამედ ვღირდი,
დედის გულს და მამის დაღლილ
მარჯვენს დათვლილ გროშად ვყიდი.

ბედიაში ბაგრატის სულს,
ცხუმს რომ პირველ ფუძედ ვთვლიდი,
კოლხის უნატიფეს ქალებს
რიზეს გზაზე ჩუმად ვყიდი.

ცრემლისხელა მოთბო მიწას,
ყელს რო აჭდეს სალტე დიდი,
კუთხე-კუთხე, ეზო-ეზო,
ყოველ გოჯ და მტკაველ ვყიდი.

პატივაყრილ ჩემს სამშობლოს,
ზე რო აზის ყველა ფლიდი,
ხონთქრის დავალების უმალ
სიცილ-სიცილ ვფცქვნი და ვყიდი.

რაც რომ მტერი მომეძალა,
ჩემს სულს ეშმაკისთვის ვწვრთნიდი,
ვდგავარ ახლა, ივერიის
ატირებულ ზეცას ვყიდი.

## ევა. ბიჭვინთა. 1981 წელი

ვისი ნეკნი ხარ, იქნებ არც გახსოვს,
იქნებ არც იცი, არც ერიდები,
და ადამს, როგორც იმედი სანდო,
თვით პურზე უფრო მეტად სჭირდები.
ეცემა ტალღა ვნებიან სხეულს,
ნაპირთან სიცხით იხრჩობა ქარი,
შენს სხეულს, მცირე ქანდაკად ქცეულს,
დაურიდებლად ედება თვალი.
და უნატიფეს ზეცის სილურჯე
ზედ ჰორიზონტთან აკვრია შორეთს,
კაცობრიობა დგას და იშუშებს,
ევა, შენ მიერ ჩადენილ ცოდვებს!

## ვწერ:

ვწერ: ღამემ ბინდი თავქვე დაიგო,
ხევში ზმორებით ზოზინებს ნისლი,
იქნება ახლა მაინც გაიგო,
სიკვდილო, შენთვის რომ ველარ ვიცლი.
ვწერ: სადღაც ღვარი გაბმით ქვითინებს,
სულ გაიგიჟეს ძეწნებმა თავი,
ამაღამ ქარი რომ დაიძინებს
მთებში ნისლების ითოვებს ზვავი...
ვწერ: შევისახლე სხეულში სიტყვა,
ვწერ: შევრჩი ქალაქს მესიტყვე კაცი,
მე ვიღებ სიტყვებს სიტყვების ტყიდან
მერე ყალბ სიტყვებს ლანცეტით ვაცლი.
ვწერ: კალმის წვერზე ჩიტი წრიალებს,
დღეა უმანკო და გაბუსხული.
ჭალებთან ურმის თვალი ჭრიალებს,
ბინდების ბუბუნს მოაქვს "ურმული".
ვწერ: დილამ სიოს სხივი გაუბა
ბროწეულისფრად წახეულ წარბის,
ზამთარს დამზრალი ბეჭი გაუთბა,
ლეშზე დაგეშილ მგელივით გარბის.
ვწერ: შენი ჟინი ისე მახურებს,
როგორც ზაფხულის სიცხე თაკარა,
მოსწყურებიათ მწიფარ ალუბლებს
ხევში ჩაჩრილი წყარო ანკარა.
ვწერ: მზე ზეცასთან ისევ დაზავდა,
გული ცრუ-მართალს იწყებს მისნობას,
ვწერ: მხრებით ვიჭერ სიტყვების ზვავს და
დუელში ვიწვევ მარადისობას...

***

იგი არც სივრცეა უსასრულო,
იგი არც მშფოთვარე ღამეა,
იგი არც დილაა სხივნათელი,
იგი არც მზეა და მთვარეა.

იგი არც დილაა სხივნათელი,
იგი არც სამოთხის წყალია,
ოღონდ, ეგაა, რომ სიცოცხლეა,
ოღონდ, ეგაა, რომ ქ ა ლ ი ა!

### წერილი რედაქციას

# ბატონო რედაქტორო!

როცა თქვენი გაზეთის დევიზია: ,,ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად“, ვალდებული ხართ მოვლენები სწორად და გასაგებად იქნეს საზოგადოებისათვის მიწოდებული.

მიმდინარე წლის 11 აპრილს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ინიციატივით ჩატარებული ღონისძიების, მიძღვნილი 9 აპრილის მოვლენებისადმი, გაშუქებული თქვენი გაზეთის მიერ ავლენს ლიბერალურ დამოკიდებულებას. ეს შეიძლება არც იყოს გასაკვირი, რადგანაც დისკუსიაში მონაწილეთა უმრავლესობის შეფასებებში ნამდვილად გამოჩნდა მოვლენებისადმი უგულო და შემრიგებლური დამოკიდებულება.

გაზეთში დისკუსიის ქრონოლოგიაც დარღვეულია. კერძოდ, ჩემს წინ გამოსვლელები შემოიფარგლენ მხოლოდ 1989 წლის მოვლენებით. მე მათ გასაგონად აღვნიშნე, რომ 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში არის, როგორც ტრაგედიის, ასევე გამარჯვების დღე. აქვე მივუთითე, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით ქართველმა ერმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, ჩვენ გვინდა თავისუფლება.

დღეისთვის ეს მხოლოდ ერთადერთი აქტია, რომლითაც ჯერ კიდევ იურიდიულად მაინც გვაქვს ქვეყნის მთლიანობა შენარჩუნებული.

ბატონო ნუგზარ! ჩემს შემდგომ თქვენ გამობრძანდით და რატომღაც თემას გადაუხვიეთ და საუბარი გადატრიალებაზე დაიწყეთ. მე მიგითითეთ და გთხოვეთ გეთქვათ სიმართლე. აღნიშნული კი თქვენ გაღიზიანებად მიიჩნიეთ. ჩემს მიერ გამოთქმული კრიტიკა, მხოლოდ თქვენ არ გეკუთვნოდათ. იგი შეეხებოდა ასევე ადგილობრივი მასმედიის მიერ რეფერენდუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტისადმი დამოკიდებულებას.

1992 წელს, ნაცვლად ქრისტეშობის დღესასწაულის აღნიშვნისა, ხელისუფლების უზურპაციით დაავადებულმა პირებმა დაამხეს რა კანონიერი ხელისუფლება, ამის შედეგებს დღესაც ვიმკით.

ბატონო ნუგზარ! ეს მომართვა მიზნად არ ისახავს თქვენდამი უპატივცემულობას, რამეთუ სიმართლეა ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისა და გადარჩენის საფუძველი.

გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომის დღესაწაულს.

უფალი ოყოს თქვენი მფარველი.

პატივისცემით,

**ზაურ კოსტავა.**

17 აპრილი, 2014 წ.

# გილოცავთ!

გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის 26-ათასიან კოლექტივს მინდა მივულოცო მართლმადიდებლობის ზეიმი, ბრწყინვალე აღდგომა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

უფლის მადლი ფარავდეს თითოეული ჩვენთაგანის ოჯახს.

იყოს მშვიდობა, სიკეთე, სიხარული და რწმენა ხვალინდელი დღისა, ღრმად პატივცემულო პენსიონერებო. დიდხანს ვიცოცხლოთ დედამიწაზე ღვთის კურთხეულ ერთადერთ ქვეყანა საქართველოში.

**გურამ ცერცვაძე,**

გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე.

# ერთი დაუვიწყარი სამეცნიერო სესია

1963 წლის ივნისის დამდეგს, საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ ბათუმს გამართა გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელიც აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების ასი წლისთავს მიეძღვნა.

სესიაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკდ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი, იმავე ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი ვარლამ დონდუა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგე, პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი, საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი მიხეილ ცერცვაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე, პროფესორი კონსტანტინე გრიგოლია, ამავე მუზეუმის თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, კონსტანტინე ჩოლოყაშვილი, რომელსაც აკად. გიორგი ჩიტაიას სტატია გააცნო საზოგადოებას.

საყურადღებო გახლდათ ექვთიმეს თანამშრომლის, არქეოლოგ გიორგი ლომთათიძის მანამდე უცნობი ფაქტებით დატვირთული მოხსენებაც. სესიას ბათუმის საზოგადოების ნაღები ესწრებოდა.

სესიას შესაფერი ბანკეტი მოჰყვა, რომელზეც გრძელდებოდა ის პათოსი, რომელიც მაღალკვალიფიციურ მომხსენებლებმა შექნეს.

მეორე დღეს იუბილარის და თბილისელი სტუმრების პატივსაცემად დიდი სუფრა გაშალა ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტმა იური სიხარულიძემ (შემდეგ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის აკადემიის აკადემიკოსი).

არდა თბილისელი სტუმრებისა, წვეულებას ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რევაზ კომახიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი ვახტანგ წულუკიძე, აკად. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი ასლან ინაიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ხარიტონ ახვლედიანი, მწერალი ფრიდონ ხალვაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი მირიან ჩხიკვიშვილი, გაზეთ ,,აჭარის“რედაქტორი, კრიტიკოსი შოთა ქურიძე, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი კარლო დოლიძე და სხვები.

სუფრის სამუსიკო ნაწილს უძღვებოდა პედაგოგი ქეთევან შეროზია.

ბანკეტს ემსახურებოდნენ დიასახლისი ლაურა გიორგაძე (შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი და თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სწავლული მდივანი) და მისი მაზლები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი, პროფესორ ფრიდონ დონდუას მოწაფე ფრიდონ სიხარულიძე (შემდგომ პროფესორი) და მოსკოვის საისტორიო-საარქივო ინსტიტუტის სტუდენტი ასიკო (აქვსენტი) სიხარულიძე.

იქვე ტრიალებდნენ იური სიხარულიძის ვაჟები გიორგი (შემდგომში პროფესორი, მ. ჩიქოვანის მოწაფე, ,,სახალხო პარტიის“თავმჯდომარე (1990-1997 წ.წ.), ბრწყინვალე პოეტი, პროზაიკოსი, ისტორიკოსი) და ზაზა (შემდგომში არაბისტი, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის პრეზიდენტი, საქართველოს იმჟამინდელი პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და ა.შ.).

ვინ მოთვლის რამდენი ლხინი მინახავს, მაგრამ ასეთი მაღალი ინტელექტისა, არასოდეს. ამიტომ სათუთად ვინახავ ამ ხსოვნას.

დიდი ექვთიმე ჭეშმარიტად ღირსი იყო ასეთი ხალხის გულწრფელი სიყვარულისა და მისმა დიდმა მოყვასმა და მოწაფემ იური სიხარულიძემაც ასეთი დაუვიწყარი ბანკეტი მოუწყო მას.

ამ ბანკეტზე უკვე დაიწერა მარად კეთილად მოსაგონარი მეცნიერის გიორგი ლომთათიძის შესანიშნავი მოგონება, მაგრამ ის კარგახანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა გადაქცეული და ახალ თაობებს კვლავ ჭირდებათ ამ ყოველმხრივ სანიმუშო შეხვედრის შეხსენება.

ბედნიერად მიმაჩნია თავი, რომ ჩემი თანაკურსელის, ბატონ იური სიხარულიძის გულწრფელი მოწვევით მეც ბათუმის საგანმანათლებლო სფეროს ერთ-ერთი მოღვაწე, ამ შესანიშნავი შეხვედრის მონაწილე გახლდით.

**კარლო ჩხაიძე,**

არქივიდან.

# ლაზარე (ლაზი) სიმანტიევის მონატრება



დაბადების დღეს გილოცავ ძამიკო, ჩემო დიდო ტკივილო.

16 აპრილს მერვედ შევხდით უშენოდ. როგორ ნაადრევად, 51 წლის ასაკში დაგვტოვე.

ძალიან მენატრები, რამდენი რამ დამიგროვდა შენთან სათქმელი.

მივდივარ სურათთან და გიზიარებ ჩემს ტკივილს. ექვსი წლის უნახავი მყავდი, ვერც დასაფლავებაზე ჩამოსვლა შევძელი ისრაელში.

შენი უსაყვარლესი სიძეები ტოლიკა ხელაძე და ოთარ მეგრელაძეც ხომ შენთან არიან.

დავრჩით შენი დები ძლიერი და უკურნებელი ტკივილით.

საქართველოს სიყვარულით უცხო მიწას მიაბარე შენი სული.

ასე ნაადრევად მიატოვე შენი ლამაზი ოჯახი.

შენ მუდამ ცოცხალი იქნები შენი დების გულში.

ძალიან გვენატრები, ვლოცულობთ შენთვის!

შენი **დაიკო.**

# სენიორთა ტურნირზე უკრაინელმა ანატოლი ტიაშჩენკომ გაიმარჯვა

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დასრულდა სენიორთა 2014 წლის ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელსიც 8 უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

როგორც ვწერდით ტურნირზე ანატოლი ტიაშჩენკო ლიდერობდა, რომელმაც ბოლომდე იბრძოლა და 6,5 ქულით ჩემპიონი გახდა. სპორტის ოსტატი ჭადრაკში, უკრაინელი ანატოლი ტიაშჩენკო ოზურგეთის 4-გზის ჩემპიონი და მრავალი ტურნირის გამარჯვებულია.

5 ქულით II ადგილზე ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ჯემალ კეჭაყმაძე გამოვიდა, ხოლო 4,5 ქულით მესამეზე ასევე არაერთ ტურნირში გამარჯვებული, რომან კუტუბიძე.

# ,,მერცხალის“ მდგომარეობა საგანგაშოა

მე-20 ტურში ოზურგეთის ,,მერცხალს“15 აპრილს ,,მძიმე“ გასვლითი მატჩი ჰქონდა ქ. თბილისში ,,დინამო 2“-თან. ოზურგეთლებმა ეს მატჩი დათმეს დიდი ანგარიშით (0:5) და კიდევ უფრო გაიუარესეს სატურნირო მდგომარეობა. ოზურგეთელთა ბედს იზიარებს თელავის ,,კახეთიც,“ რომელიც ტოლს არ უდებს გურულებს და ორთავე გუნდი 14-14 ქულით ბოლო ორ ადგილს ძმურად იყოფენ.

,,კახეთისა“ და ,,მერცხალის“ საპირსისპიროდ, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ამ ორი გუნდის უშუალო კონკურენტები და ბოლო ტურში კვლავ მოიგეს. ამჟამინდელი მდგომარეობით, ,,სქურს“ 20 ქულა აქვს. ,,იმერეთსა“ და ,,ადელს“18-18.

ოზურგეთელი გულშემატკივრები მოდიან რედაქციაში და კითხულობენ, რატომ მეტად არაა დაინტერესებული ჟურნალისტები, თუ რა ხდება ,,მერცხალში,“როგორ აპირებენ დარჩენილ მატჩებში მდგომარეობის შეცვლას.

გუნდის მდგომარეობით დაინტერესება ,,ალიონს“ ,,მერცხალის“გუნდის უფროსმაც სთხოვა.

იმედი გვაქვს, გუნდის ხელმძღვანელები თავს არ აარიდებენ გულშემატკივრების კითხვებს. მათთან ინტერვიუს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

# სასკოლო პირველობა მძლეოსნობაში

ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის, სასპორტო სკოლისა და განათლების რესურსცენტრის ერთობლივი ღონისძიება მძლეოსნობაში 1999-2001 წლებსი დაბადებულთა შორის.

მონაწილეობდნენ: წმ. ნინოს გიმნაზიის, ქ. ოზურგეთის №1, 2,3, 4, ჯუმათის, ასკანის, მთისპირის, ვაკიჯვრის, ბახვის, გომის, მერიის, ძიმითის, თხინვალის, გურიანთის ნასაკირალის, მელექედურის საჯარო სკოლები.

100 და 400 მეტრზე რბენაში გოგონებს შორის გაიმარჯვა ნატო ურუშაძემ; სიგრძეში ხტომაში ლიკა არობელიძემ (გურიანთის სკოლა);

ბირთვის კვრაში გაიმარჯვა ნია ძმისტარიშვილმა (წმ. ნინოს სამრევლო სკოლა);

ვაჟებში: 100 მეტრზე, 400 მეტრზე რბენაში და სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა დავით გოიძ (მაკვანეთის საჯარო სკოლა) , ხოლო ბირთვის კვრაში გიორგი ურუშაძემ (№1 საჯარო სკოლა).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყება მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის სოფ. სილაურში **კობა დარჩიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# ძვირფასო ოზურგეთელებო!
# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



ქრისტე აღსდგა!
მაცხოვრის სასწაულებრივი აღდგომა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებაა. ამ უდიდესი დღესასწაულის მადლი გადმოსულიყოს თითოეულ ოჯახზე.
სულიერ სიძლიერესა და მედნიერ მომავალს გისურვებთ!
უფალი გფარავდეთ!

**გიორგი ღურჯუმელიძე,**
„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი,



გილოცავთ მართლმადიდებელი სამყაროს უდიდეს დღესასწაულს — ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.
გისურვებთ ქვეყნის გამთლიანებას და სულიერ ამაღლებას!

**ირაკლი სირაძე,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე



ბრწყინვალე აღდგომის მადლი შეეწიოს ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.
გისურვებთ წარმატებებს, მშვიდობას, კეთილდღეობას. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

**მაკა ჭყონია,**
ოზურგეთის მუსიკალური სკოლის დირექტორი.



ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!
ჩემო ძვირფასო ლიხაურლებო, ოზურგეთლებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**თამაზ სალუქვაძე,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,ინფრასტრუქტურის და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე


## შპს „ვასაძის პური“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!






აღდგომის ბრწყინვალე დღესაწაულს ვულოცავ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ მრევლს! უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს.
უფლის მადლით და შეწევნით გაბრწყინებულ და გამთლიანებულ საქართველოში გვეცხოვროს!

**გელა ჭანუყვაძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი


## შპს „გზამშენი 18“-ის კოლექტივი ულოცავს ქრისტიანებს ბრწყინვალე აღდგომას!





სასტუმრო
„ბიუქსი“,
გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!
თქვენს განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ნომრები, ბრუქს-ბარი, – საუკეთესო კომფორტი,
მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №17
(რ)

## ს.ს. „ტრანსსერვისი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



ტაქსი გამოძახებით
0(496) 275544; 0790554455
(რ)


რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3. ტელ: 558 499 100; გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18.11. 2004. №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“